


# საქართველოს



დაარსებულია 1918 წელს.  
ოთხშაბათი, 9 თებერვალი, 2013 წელი.  
№194 (7321)

# რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

**ვინ აწინანსებს  
ნაცემოძრაობის  
წინასაარჩევნო  
კამპანიას** 9



**ავთანდილ არაბული:**  
თუკი ქართული სხელენიფო ქართულ ენაზე არ იზრუნებს, ეს ნიუნაპს, რომ მან ხელი აიღო სხელენიფოს არსებობაზე 3

**ჩვენ წინ დღესაც  
ნაცნობური კედელია  
აღმართული** 4



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეფტორს აკადემიკოს, ვლადიმერ პაპავას

**ერთნლიანი  
სამოსნებო  
მმართველობა** 5

**სამართველო  
ცდილობს,  
რუსეთზე  
უური იპიოს  
ეპროპის  
აღამიანთა  
უფლებების  
სამართლოში** 8



**ხულონი — ჩვენი  
მოურჩენელი  
ტკივილი** 11



**ღაუბატი, რომელიც  
პარლამენტში „ილო“,  
ივის გარეთ ქვეყანას  
ატრიულაბდა** 6

**სანატრელად რომ არ დაბვრჩეს  
„პატარძლის დაკრეფილი..“** 7

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვამან ვერ ნახავ!..**



# რა ენა წახდეს...

**– ბატონო ანტონი, თქვენ ქუთაისში პარლამენტში იყავით მიწვეული „სახელმწიფო ენის შესახებ კანონის“ განხილვაზე, რომლის ერთ-ერთი თანაავტორი თავად ბრძანდებით. რატომღაც საზოგადოებას ინფორმაცია ისეთნაირად მიეწოდება, თითქოს სალიტერატურო ენის ნორმების დარღვევის შემთხვევაში მკაცრი სანქციები ამოქმედდება. სინამდვილეში რასთან გვაქვს საქმე?**

– ნამდვილად შორსგამიზნული, ჭორად აგორებული ინფორმაცია გავრცელდა, თითქოს ვინმე ჟურნალისტების დაჯარიმებას აპირებდეს. ასეთი რამ შეუძლებელია, კანონში ეწეროს. სანქციებს, ზოგადად, სხვა ნორმატიული აქტები აწესებენ. მეორე მხრივ, აუცილებელია ერთმანეთისაგან გავარჩიოთ კანონი ენის შესახებ და ქართული სალიტერატურო ენის ნორმები. ამ უკანასკნელთ ძირითადად წარმოგვიდგენს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა ცნობილი კრებული, რომელშიც თავმოყრილია მართლწერისა და მართლმეტყველების ელემენტარული წესები ფონეტიკის, გრამატიკის, სტილისტიკის სფეროდან... ადრე ამ კრებულს სკოლის მოსწავლეებიც კი ცნობდნენ... ვისაც ამის გარეშე არ შეუძლია, მასთან საუბარიც შეუძლებელია.

რაც შეეხება კანონის ენის შესახებ, ის ემსახურება სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების მთელი სიერის გაკონტროლებას, ის განსაზღვრავს მისი გამოყენების ზოგად წესებს. რაც უფრო მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ენის დაცვის უმთავრესი გარანტი არის სახელმწიფო. ამიტომაც ამ ეტაპზე სახელმწიფო ენის კანონპროექტის განხილვის ინიციატორი გახლავთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, მთავარი სახელმწიფო მრჩეველი მეცნიერების სფეროში და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ერთ-ერთი განმსაზღვრელი ეროვნული ენის პოლივალენტოვნებისა, ანუ სრულფასოვნებისა. აკადემიაში შეიქმნა მუშა კომისია, რომელმაც კანონპროექტის წარმოდგენილი ვარიანტი შეიმუშავა. მას უკვე განიხილავენ პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტში, თუმცა, ჯერჯერობით ეს ინიციატივა ბიუროში არ შესულა... სავარაუდოდ, მალე გაიმართება სხდომა, რის შემდეგაც უკვე დადგება საკითხი მისი პარლამენტის სესიაზე განხილვისა.

აი, ამ ვითარებაში, როდესაც კანონპროექტში თითქმის არაფერია ჩაუხედავს, „მონმენდილ ცაზე“ ატყვილ პოლიტიკურ ელემენტებს აუცილებელია ისევე ჩვენი უახლესი ისტორიის მხარედ ნაცნობი სუნი უდის...

შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ ეს კანონპროექტი ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოზომილი და დახვეწილია მსოფლიოში ცნობილ მსგავს დოკუმენტებს შორის. ამიტომაც, თუ მთლად სინდისს არ გაადასულა, მასზე აუცილებელია არ უნდა დასცდეს კაცს...

**– რაც შეეხება ენის ნორმებს, ალბათ, ჟურნალისტები ამ მხრივ ყველაზე მეტად ვცოდავთ, არა?**

– პირადად მე ერთი სიტყვაც არ დამცდენია ჟურნალისტების სააუგოდ, ეს იმიტომ, რომ ვითვალისწინებ მათი მუშაობის ექსტრემალურ პირობებს. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ჩვენი მედიის ოდროსოლორ ასპარეზზე ხშირად ორი აუცილებელი რამის დეფიციტი იჩენს თავს – პროფესიონალიზმისა და „პირისწყლისა“. ყველა იმ ჟურნალისტს, რომელმაც ჯერარდაბადებული ენის კანონპროექტის სანინააღმდეგოდ ესმოდა გამოიყო თავი, ერთ რამეს ვეტყვოდი: ჩვენი მედიაბაზრის სასიცოცხლო პრობლემა ენის ნორმების უამრავი დარღვევა კი არ არის, არამედ – პროფესიონალიზმი. ეს უკანასკნელია პირველის უპირობო გარანტია. დამისახველეთ თუნდაც ერთი ლირსების მქონე პროფესიონალი ჟურნალისტი, რომელიც ამას იტყვოდა (ან ოდესმე უთქვამს), როგორ ბედავთ, რომ მე ენის სინდისის დაცვა მომთხოვოთ!...

მართლაც ძალიან დიდი ამბიცია უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ თქვას, უნაკლოდ ვმეტყველებო. აუცილებელია იმის შეგნება, რომ ჩვენ ყველანი მეტ-ნაკლებად ვცოდავთ ჩვენი კურთხეული ენის წინაშე და ამასაც მოქალაქეობრივი შეგნება სჭირდება. როგორი ამპარტაყნება თუ უფრო უსახელო რამ გამოსჭყვივს ამის მონაღებაში, თანაც უსაფუძვლოდ: არიქა, ენის სინდისის შელახვისთვის უნდა დამაჯარმოვო! როგორ, ბუნებაში რომ ნაგავს დაყრი, წყალს დააბინძურებ, სანქციები ხომ არსებობს? რომ გააპროტესტო, ნაგავს სადაც მინდა, იქ დაყვრიო, ნორმალური იქნება? მაშ, რატომ არის უფრო „დაბალი ლობე“ სახელმწიფო ენა, რატომ შეგვიძლია ვითარებოთ ყოველგვარი ბარიერის გარეშე? როცა დავკარგავთ პასუხისმგებლობის გრძობას ენის წინაშე, დავკარგავთ მოქალაქეობრივ შეგნებასაც...

ძველი ქართული ენა ქრისტიანული კულტურის უმდიდრესი მატარებელია. ნახეთ, როგორი მოკრძალებულია ძველი ქართული მოქალაქე ენის მიმართ. დაუბინძურებელი და სუფთაა ძველი ქართული, დაცულია ენის სინდისი...

**– ამ დროს ჩვენს სინამდვილეში რა ხდება?**

– ვერ იტანს ქართული ენა უცენზურო სიტყვებს, ბილნისიტყვაობას. ნახეთ, რა ხდება მასმედიაში, ყოველგვარი ბარიერი მოხსნილია, ისეთი სიტყვები ისმის ეკრანიდან, დაუშვებელია კულტურულ ადამიანს გააგონო... თავმოყვარე ერთი არაფრით დაუშვებს იმას, რომ ყურადღება არ მიაქციოს ამგვარ თავნებობას.

მოკლედ, ძალიან მოუვლელი გვაქვს ეს „მეურნეობა“, ეს უზარმაზარი ასპარეზი ქართული ენისა. ეს იმიტომ, რომ, ფაქტობრივად, მომვლელებიც „მოიშალნენ“, თითქმის აღარ არსებობენ შესაბამისი ინსტიტუტები, საზოგადოებას კი, კარგად ვხედავთ, როგორი დამოკიდებულება აქვს...

**– როგორ შეიძლება საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ კანონი არ ჰქონოდა, რატომ აქამდე არ იმოქმედებ?**

## ანტონი არაბული: თუკი ქართული სახელმწიფო ქართულ ენაზე არ იზრუნებს, ეს ნიშნავს, რომ მან ხელი აიღო სახელმწიფოს არსებობაზე



**პრემილი საუბარი, რომელიც ენათმეცნიერ ანტონი არაბულიმ ჩააწერა, მან ასე დაამთავრა: „წინა ხელისუფლებას „ნაწირობა“ კი არაა, თუმცა, ესეიგი შენიღბული უნდა გამოვხატო, რაღვან მას არაფერი გაუკეთებია ნაწირობაში, პრესის სანდობით... ცნობილი გამოცემების: „როდის უნდა საშობაო მხარეანი ბოლომდე, მაშინ, როცა მას ბარბან „შხაში“ აწერია, თუ მაშინ, როცა „წყალი“ აქვს იარაღად?.. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მდივან-აკადემიკოსს ქართული ენის შესახებ საჭირობო საკითხებზე სასაუბროდ ვეწვიეთ, რადგან კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ენა ჩვენი ეროვნული ერთგვაროვნობის საძირკველია და რომ მას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება.**

– მართლაც დაგვიანდა... რაც უფრო ღია გახდა საინფორმაციო სივრცე, მით უფრო დასჭირდა ყველა სახელმწიფოს, რაღაც ფორმით მოეწესრიგებინებინა საკუთარი სახელმწიფო ენის საარსებო სივრცე. ამაში ტონის მიმცემი ადამიანები ფრანგები, რომლებმაც, როგორც კი გლობალიზაციის საფრთხე იგრძნეს, ჯერ კიდევ 1975 წელს მიიღეს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. რაც დრო გავიდა, კიდევ უფრო გააძლიერეს მათ ენის დაცვის ზომები. ევროპა ამ თვალსაზრისით საკმაოდ პრინციპული და თანამიმდევრულია. მართალია, ყველგან არ არის ასეთი კანონი, სამაგიეროდ, არსებობს პოლიტიკა, რომელიც ბოლომდე ცნობს სახელმწიფო ენის საარსებო სივრცეს. თუკი ღრმად ნავალთ ისტორიის თვალსაზრისით, ვნახავთ, რომ ქართული ერთგვაროვნობის, საქართველოს სახელმწიფოებრიობის ხორცშესხმა პირდაპირ დაუკავშირდა სახელმწიფო ენის გაგებას. ამაზე მეტყველებს ლეონტი მროველისეული შეფასება ფარნავაზის მოღვაწეობისა, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების უმთავრესი შედეგი და სხვა. ეროვნული ენა ყველა ხალხმა თვითგამორკვევის მთავარ დროშად წაიძღვარა; მაგრამ მეჩვენება, რომ ის ქვეყანა და ის ხალხი, რომელსაც გარე მუქარა მუდმივად აწუხებს, რომლის ერთგვაროვნობა მუდმივი დარტყმის ქვეშაა, განსაკუთრებულ აქცენტს ენაზე აკეთებს. ხანდახან საკუთარი მინა-წყლიდან განდევნილი ვერ საკუთარ ენაში „შესახლება“ ხოლმე, რათა გადაირჩინოს სულიერი არსებობა, კულტურა...

ახლა არცთუ შორეული წარსულის შესახებ: ბევრმა არც იცის, რომ 1918 წელს დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი პირველი საკანონმდებლო აქტი იყო კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. იმდენად დაჩქარებულად მიმდინარებდა ამ მიმართულებით მუშაობა, რომ ორ კვირაში მიიღეს კანონი სახელმწიფო ენის გამოყენების შესახებ, ხოლო რამდენიმე თვეში – კანონი მხარეებში ენის გამოყენების შესახებ. მაშინდელ ევროპაში მსგავსი თაოსნობები ჯერაც არ არსებობდა. საქართველოს ისტორია ნამდვილად არ იმსახურებს ვინმეს საყვედურს ეთნიკური და ენობრივი უმცირესობების მიმართ დამოკიდებულების გამო; აქ ბევრი რამ არის სამაგალითოც კი... ასე რომ, არა მარტო ქართველია ბუნებით ტოლერანტი, არამედ – თვით

ქართული ენაც. ნახეთ, რამდენი რამ ისეხსა სხვა ენებთან, მათ შორის დამპყრობელთა ენებისაგან, მაგრამ შეინარჩუნა თვითმყოფადობა...

**– 90-იანი წლების დამოუკიდებლობის შემდეგ ენის ნორმებზე ვინ ზრუნავდა, სახელმწიფო ენის დაცვა მოუგვარებელი რატომ დარჩა?**

– დამოუკიდებლობის შემდეგ შექმნილი სახელმწიფოებრივი კრიზისი ამ სფეროზეც აისახა. საზოგადოდ, სახელმწიფო ენის პრობლემის მოუგვარებლობა ქართული სახელმწიფოებრიობის პირდაპირი გამოხატულებაა. მაშინდელ თაობებს ახსოვთ, რომ სახელმწიფო ენისათვის ბრძოლა გასული საუკუნის 80-იანი წლების ეროვნული მოძრაობის მთავარი ნიშანი იყო. დამოუკიდებლობის შემდეგ, 90-იან წლებში, რამდენიმეჯერ იყო მცდელობა ენის კანონის შექმნისა, მაგრამ ახალ-ახალი ძნელებდობა გადაფარავდა ხოლმე ამ პრობლემას... 1997 წელს შეიქმნა ენის სახელმწიფო პალატა. ეს იყო მაგალითი იმისა, რომ შესაძლებელია, გაჭირვებულმა ქვეყანამაც იზრუნოს საკუთარი ენის მომავალზე. პალატის ერთ-ერთი აქტიუბა იყო ისიც, რომ დაჩქარდა ენის კანონპროექტის მომზადება, რომელიც 2002 წელს განსახილველად შევიდა პარლამენტში. პროექტის განხილვა შეფერხდა რამდენიმე მოსაზრების გამო... ხოლო 2003 წელს მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ საერთოდ გააქრო ეს კანონპროექტი.

**– კანონის გაქრობა რას ნიშნავს?**

– პარლამენტიდან პრეზიდენტმა გაიწვია ის და ამ დოკუმენტაციის მოძიება შემდეგ შეუძლებელი გახდა. არადა, იმ კანონმა მოიარა ყველა კომიტეტი, მოისინეს ექსპერტები, განიხილა ევროპის ყველა შესაბამისმა სტრუქტურამ და საკმაოდ პროგრესულად იყო მიჩნეული.

**– ენის პალატის მუშაობა ვფიქრობთ არ იყო, თუ სწორად მასოვს, ეს იყო მიზეზი ამ სტრუქტურის გაუქმებისა...**

– არა, ესეც პროპაგანდის შედეგია. თავიდან მეც ვორჭოვობდი, იყო თუ არა საჭირო ასეთი პალატის შექმნა, რადგან მაშინ ძლიერი იყო უნივერსიტეტი, არსებობდნენ ინსტიტუტები... თუმცა, ენის პალატის წარმოშობა მუშაობამ დამარწმუნა ასეთი სტრუქტურის საჭიროებაში. მთელი ბაზა შეიქმნა მონაცემებისა სახელმწიფო ენის მოქმედების შესახებ, მხარეებში წარმომადგენლები მუშაობდნენ. ინერტობა რეკომენდაციები, კეთდებოდა ყოველთვიური ანალიზი. პალატამ ბევრი გააკეთა რეგიონებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაციის გასაძლიერებლად, მისი პოპულარიზაციისათვის...

**– ახალ კანონპროექტში ნახსენებია სახელმწიფო ენის დებარტამენტი (ბოლო ვერსიით – ინსპექცია), ეს სტრუქტურა უნდა შეიქმნას?**

– ეს იგივეა, რაც ენის პალატა იყო, ოღონდ გაცილებით კომპაქტური და მინილური.

**– და მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისიაც უნდა არსებობდეს?**

– დიახ, ასეთი კომისია 2003 წლამდე არსებობდა და, ვფიქრობთ, აუცილებელია მისი აღდგენა. ჩვენ ყველანი კარგად ვხედავთ, რომ შეიცვალა ენა, მოძველდა გრამატიკული ნორმები, შემოიჭრა ახალი ტერმინოლოგია, რასაც არავინ აკონტროლებს. ამ კომისიამ სწორედ ამ მიმართულებით უნდა იმუშაოს. ყურადღება უნდა მიაქციოს პოლიტიკურ, საგანმანათლებლო თუ ტექნოლოგიურ ტერმინებს. უნდა ვცვალოთ, რომ ახალ ცნებებს ქართული შესატყვისი ტერმინები მივუსადაგოთ. ასე რომ არ ყოფილიყო, არ გვექნებოდა ტერმინები: დენი, ძაბვა, წირი, წრე, წრფე, წილადი, მართი... რომლებიც გასული საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ შეიქმნა ქართულ საფუძველზე. ჩვენ უმდიდრესი ლექსიკა გვაქვს საამისოდ. თუმცა, არც უცხოური ტერმინების შემოტანისა გვეშინია, მაგრამ აქ დაცული უნდა იყოს ფონეტიკური შესაბამისობა...

**– ამ კუთხით ნიშანდობლივია ლექსიკონების საჭიროება. როგორც ვიცი, მზად გაქვთ რამდენიმე წიგნი და ვერ ასერხებთ გამოცემას.**

– ფაქტობრივად, კვლევითი ინსტიტუტები, მათ შორის – ენათმეცნიერების ინსტიტუტი გაუქმებულია. მაგრამ ფაქტობრივ ენთუზიაზმით ინსტიტუტის თანამშრომლებმა მოამზადეს ამ წლებშიც მნიშვნელოვანი ლექსიკონები. მაგრამ ენთუზიაზმი ბოლო ცხრა წლის უსამართლობამ დაშრიტა. ამ საკითხს უნდა სახელმწიფოებრივი მიდგომა, დაგეგმვა, დაფინანსება...

**– არ იქნება ისეთ ფინანსებზე საუბარი, რომ ბიუჯეტი ვერ გასწვდეს?**

– რა თქმა უნდა, არა. მაგრამ ამ პრობლემებს, რაკი შესაძლებლობა გაჩნდა, სისტემურად უნდა მოველოს. ახლა კურსი იქითკენ ავიღეთ, რომ მოვანსერიგოთ საკანონმდებლო და ინსტიტუციური სივრცე. ძველი ხელისუფლების დროს ამაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა, გადარჩენისთვის ვიბრძოდით. 2011 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტი ისე გააუქმა გილაურმა, რომ მისმა თანამშრომლებმა ეს მხოლოდ 2 თვის შემდეგ გაიგეს. მათი პოლიტიკა ღიად უპირისპირებოდა ყოველივე ეროვნულს. მეცნიერება კვდომისკენ წაიყვანეს. ახლა მთავარია, მეცნიერება გადავარჩინოთ, ვიფიქროთ ინსტიტუტების აღდგენაზე. აღნიშნულ კანონპროექტთან ერთად, მომზადებული გვაქვს სახელმწიფო ენის დაცვის პროგრამა. ქართული ენა, ჩვენი ერთგვაროვნობის უმთავრესი ნიშანი, არის არა მხოლოდ ეროვნული ენა, არამედ ის ჩვენი სახელმწიფოებრიობის საფუძველია. თუკი ხალხი, საზოგადოება სახელმწიფო ენაზე არ იზრუნებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მან ხელი აიღო სახელმწიფოს არსებობაზე. ენა ჩვენი ისტორიული არსებობის საფუძველია და არ შეიძლება ასეთ ღირებულებაზე ერმა უარი თქვას!

ესაუბრა  
თბა მოსია

ბატონო ვლადიმერ! დღეს ცოტას თუ ახსოვს 2006 წლის ზაფხულის მოვლენები, როდესაც განათლებისა და მეცნიერების რეფორმის სახელით მოახდინეს უნივერსიტეტის ანტიეროვნული და ვანდალური დარბევა.

ევროპეიზაცია-მოდერნიზაციის სივრცის ფრქვევით, განათლება-მეცნიერებისაგან საკმაოდ შორს მდგომარეობა არსებობდა, ის რაც იყო, წარსულის გადმონაშთად გამოაცხადეს და შეუვალი მრისხანებით ააგიზგიზეს ინვესტიციის კოცონი. ბოროტების პირველმა ტალღამ გააერთიანა ფაკულტეტები და გააუქმა კათედრები (თითქოს დააკმყოფილეს ბოლონის პროცესის პრინციპები, რომლის მსგავს მოთხოვნასაც ბოლონია არ აყენებდა.

ჩვენს სინამდვილეში რეფორმატორებად (ასე უწოდებდნენ თავს) სახელდებულმა, გაურკვეველი პროფესიული მონაცემების პირებმა ჩაიდინეს მსოფლიოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო ისტორიაში უიშვიათესი ქმედება: გაათავისუფლეს უნივერსიტეტის ყველა მეცნიერი-თანამშრომელი და პროფესორ-მასწავლებელი (ფაქტობრივად, უნივერსიტეტი გააუქმეს) და დაინიშნეს ახალი არჩევნები. მეცნიერებისა და განათლების მესვეურთა ამ უკანონო მოქმედებამ უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მკვეთრი რეაქცია გამოიწვია და მოითხოვა არჩევნები განათლებისა და მეცნიერების არსებული კანონის შესაბამისად ჩატარებულიყო.

სამეცნიერო საბჭოს წევრების დიდმა ნაწილმა პროტესტის ნიშნად, არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო, რამაც საკმაოდ ხანგრძლივი გამოსვლები და დაპირისპირება გამოიწვია (ვაირეფორმატორები, მედროვეობისა და სივრცის ეტალონები ალ. ლომია და გ. ხუბუა გამარჯვებულის იერით, უსირცხვილოდ აცხადებდნენ ყოველთა ქართველთა გასაგონად, პროფესორები იმიტომ ვინააღმდეგებიან რეფორმას, კონკურსის ემინათო. ნახეთ, რა უსაზღვროა თავ-სხედობა. აი, ამათ ხელში იყო ბედკრული საქართველოს ბედკრული განათლება და მეცნიერება. ჩადენილი ბოროტებისათვის მათ არც ღვთის და არც ხალხის რისხვა არ აცდებათ. ამ ორ ადამიანს, ჩადენილ უზუნობათა გამო, გარანტირებული აქვს მეცნიერებისა და განათლების სულთამსუთავებად დარჩენა საქართველოს ისტორიაში, რომელთა მსგავსსაც ჩვენი მამულები მრავალსაუკუნოვანი წარსული არ იცნობს).

ხელისუფლებამ პროფესორთა პროტესტს ძალის გამოყენებით უპასუხა (ამას წინ უძღოდა შეურაცხყოფელი სიტყვების კორიანტელი: „მეამბოხნი“, „ხულიგნები“ და სხვ.). უნივერსიტეტში წესრიგის დასამყარებლად შემოიყვანეს პოლიცია (საკითხავია, ვინ არღვევდნენ წესრიგს – ლომია-ხუბუა თუ ხანდაზმული ადამიანები?). იყო ასეთი ეპიზოდიც: სამართლის დამცველებმა „მეამბოხნი“, როგორც საშიში დამნაშავენი, მთელი ღამე გამოამწყვდიეს სააქტო დარბაზში, გადაუკეტეს წყალი და აღუკვეთეს კავშირი გარე სამყაროსთან. გაუგებრობის კულმინაციას წარმოადგენდა ალმა მატერიდან პოლიციის მიერ პროფესორების ძალით გამოძევება, პროკურატურის ჩართვა და სასამართლო პროცესი (სასამართლო ორი დღე მიმდინარეობდა. რამდენიმე დამსახურებულ პროფესორს წვრილმანი ხულიგნობა დაუდგინეს და დაამთავრეს კომიკური სპექტაკლი).

ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან მისაახლოებელი საგანმანათლებლო რეფორმა, რომლის შესახებაც სიამაყით ყელყელაობდნენ ქართული სულიერების ხმალამონვდილი „მედროშენი“ (ალ. ლომია და გ. ხუბუა) აღმოჩნდა ბლუფი. დღეს ეს რეალობა კამათს არ იწვევს (სამწუხაროდ, რეფორ-



# ჩვენ წინ დღესას ნასისტური კედლია ალბართული

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აკადემიკოს, ვლადიმერ კაკაბას**

მა-სატყუარა, დიდმნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნია აკადემიური საბჭოს რამდენიმე წევრს. მისი სიკეთე ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ). ცნობილია, რომ ნაცისტური ხელისუფლების ჩატარებულმა წმენდამ უნივერსიტეტს ჩამოაშორა პროფესიონალ სპეციალისტთა ძირითადი ბირთვი, ჩაანაცვლეს ცრურეფორმისტულ სიყალბეს მიტმანილი მედროვეებით, რამაც საგრძნობი ზიანი მიაყენა საგანმანათლებლო სფეროს.

ნაცისტებმა უღირსი მეთოდებით დაინიშნეს უნივერსიტეტის დარბაზები. ასპარეზი დაუთმეს „შედრეკილ-შემინებულ“ და „ნაზრახ სიცოცხლეს“ შეგუებულ პერსონებს. ხოლო იმათ, რომლებიც წინ აღუდგნენ სიბინძურედან ამოტივტივებულ, ანტიქართული სულიერების გაფლანკებით მოდერნიზაციის ნიღაბფარებულ სივრცეს, მეშვიდე წელია, ცის გახსნის მოლოდინში ამყოფებენ.

ბატონო ვლადიმერ, უნივერსიტეტიდან განდევნილ პროფესორთა სახელით უფლებამოსილი ვარ განცხადდო, რომ ევროპეიზაციის ჯაგლაგ რაშზე ამხედრებულმა ნაცისტებმა ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების დაპირებებით გაანადგურეს ის დონე, რომელიც წლების განმავლობაში იჭედებოდა და განათლება ევროპის ნაცვლად წაიყვანეს ცენტრალური აფრიკის მიმართულებით. და ამ უკეთურობას ახალი ეპოქის დასაწყისი უწოდეს. განათლებისა და მეცნიერების მესაფლავე ალ. ლომია, უნივერსიტეტის მინასთან გასწორების მომდევნო წელს ცხინვალის მისადგომებიდან გვაწვდიდა ინფორმაციებს ქართული არმიის საომარ მოქმედებათა შესახებ. ამ ყველაფრის „მცოდნე“ კაცმა ხმა რაზეც ამოიღო, ყველაფერი უფსკრულისაკენ გააქანა. საინტერესოა, ვის ჰქონდა იმედი იმისა, რომ იგი განათლებასა და მეცნიერებას ააყვავებდა? (ჩვენ რომ არ გვჯეროდა, ამიტომაც გამოვდიოდით თავიდანვე მის წინააღმდეგ).

„შედრეკილ-შემინებულები“ ოვაციებით ანებივრდნენ მესიად მოვლენილი გაუგებრობის ნოვაციებს, უთვალავ სიბრიყვეს სივრცის მსახურთა არმია სიბრძნის დიდ გამონათებად უთარგმნიდა ქედმოხრილ ერს – გადაიარა ბოროტების მძვინვარების მრისხანე ტალღამ. მოვარდნილ მწყერს ბევრმა ვერ გაუძლო და ნაადრევად განშორდა წუთისოფელს. მღვრიე ტალღებმა წალეკეს სინმინდე და ადამიანებთან ადამიანური დამოკიდებულება. ნაცისტების ხელისუფლებასთან ამ საკითხებზე კითხვის დასმას აზრი არ ჰქონდა, რადგან გონივრული შეკითხვა მათი გაგებით იყო დანაშაული. მათ ხომ ყველაფერი შესანიშნავად ჰქონდათ აწყობილ-დალაგებულში. ამის გამო კითხვის დასასმელი ადგილი არ რჩებოდა. საქართველოს მნივლობარტუხუცესის „ისტორიული“ გამონათქვამით („ძალი ყვეს. ქარავანი მიდის“) დაამთავრა „ეროვნულმა“ ხელისუფლებამ ჩვენთან ურთიერთობა. საინტერესოა იმის ხაზგასმა, რომ თურმე მთელი მსოფლიო იწონებდა ქართულ განათლებამეცნიერებაში მომხდარ სასწაულს (ჩვენ კი ვერ ვამჩნევდით). დღე და ღამ ისმოდა გაუთავებელი ქებათა-ქება.

უცხოელი ექსპერტები (თუ ჭკუის დამრიგებლები) ალტაცებულები იყვნენ ჩვენი რეფორმატორების გამჭრიახობით, რა ელვისებურად მოაგვარეს ყველაფერი (სინამდვილეში დაანგრეს). ასე მოძღვრავდნენ ერს სივრცის წინა ხაზზე მდგომნი. იმ უცხოელებს აზრად არ მოსვლიათ ეკითხათ (არც აინტერესებდათ), სად წავიდნენ ისინი, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ ბარბაროსებს. ამ საკითხით საქართველოში არც ერი და არც ბერი არ დაინტერესებულა. უფრო მეტი, სარკინოზებთან მეტროლებს ერიდებოდნენ, როგორც კეთროვნებს, რათა უზნეო ნაცისტებთან პრობლემები არ შექმნოდათ (ამ სტრიქონების ავტორმა, ნაცისტური სივრცის მოურიდებელი კრიტიკის გამო, საკუთარ თავზე იწვინა ერთ-ერთი

უნივერსიტეტის „წინდახედული“ მოძღვართმოდერის (გვარ-სახელი არ არის საჭირო) სიფრთხილე. სამწუხაროა, რომ თაობათა ცვლის ბუნებრივი კანონი საქართველოს ნაცისტურმა ხელისუფლებამ ხელოვნურად დააჩქარა და ეს გაუმართლებელი ექსპერიმენტი უნივერსიტეტიდან დაიწყო. შედეგი? – უარყოფითი. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ამ რეალობის შესახებ ყველა დუმს. ვინც ამჩნევს და არ ამბობს, მუნდირს უფრთხილდება, ვინც ვერ ამჩნევს, ცუდად აქვს საქმე. ერი ათი წელი იდგა სივრცის გზაზე, რომელსაც ეშმაკის ნაშეივრები ჭეშმარიტების გზას უწოდებდნენ. მტკიცნული იყო ლომიასა და ხუბუას მოქმედი შოლტი. მისი სიმწარე მოუშუშებელ ჭრილობად ამჩნევია ქართულ სულიერებას. უნივერსიტეტიდან მოკვეთილები კვლავ შოლტს უნდა ველოდოთ თუ სხვა გზას დავადგეთ?

ბატონო ვლადიმერ, მოგმართავთ იმ ადამიანების სახელით, რომლებმაც შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადეს ანტიეროვნულ რეჟიმს. ის რეჟიმი დაემხო, დაემხნენ სიძულვილისა და სიბნელის მქადაგებლები. მაგრამ გათენებას აგვიანდება. ჩვენ ასაკოვანი ადამიანები ვართ, სიცოცხლის უმეტესი ნაწილი უნივერსიტეტში გვაქვს გატარებული. ნაცისტების ზეობის ხანაში არჩევნებში რომ არ მივიღეთ მონაწილეობა, არ ნიშნავს იმას, რომ მოვალეობის შესრულება არ შეგვიძლია ან არ გვსურს (თავის დროზე ჩვენ პროტესტს განვუცხადეთ უსამართლობას და ამისთვის დავისაჯეთ).

ერთი წელია, მდგომარეობა შეიცვალა. ფართოდ მსჯელობენ სამართლიანობის აღდგენაზე. ჩვენი სასჯელის შემსუბუქებაზე კი არავინ ფიქრობს. ვისაც მივმართეთ, ყველასაგან გაურკვეველი პასუხი მივიღეთ. ჩვენს წინ დღესაც ნაცისტური კედელია აღმართული. ჩვენ ისევ ბრძოლის ველზე ვდგავართ. ისიც ხომ კარგადაა ცნობილი, რომ ხელისუფლებას მორგებულ პერსონებს აჯილდოებდნენ დამსახურების სიგელით, მაგრამ ძალით განდევნილებზე ხმა არავის ამოუღია, ისეთი პოზა უჭირავთ, თითქოს ჭეშმარიტების მსახურნი არიან. მათთვის ჩვენ არც ვარსებობთ. ხომ არ არის ეს მედროვის თვალმაქცობის ნიშანი? (შენიშვნის ადრესატებია აკადემიური საბჭო და მრჩეველთა კოლეგია. რაც შეეხებათ რიგით თანამშრომლებს, მათ არც არავინ ეკითხებათ რაიმეს და არც თვითონ კითხულობენ. კმაყოფილები არიან, რომ თავი ქუდში აქვთ). 40-ზე მეტი წელი ვმუშაობდით უნივერსიტეტში, რომელიც სატანის ნაშეივრებმა გაგვიუცხოეს. უღირსებმა ღირსება შეგვილახეს. გამოკვეთილი ნიშნის ტიპები ერს თვალთმაქცური ენამზეობით გესლავდნენ. გაუძლებელი უამრავ შეურაცხყოფას, ვისაც არ ეზარებოდა, ყველა ჩვენ გვლანძღავდა. დღესაც იმავე გაურკვეველ მდგომარეობაში ვრჩებით. გვანტერესებს, ნაცისტების მრუდე განაჩენი კანონიერების დამცველთა (ანუ ჩვენს) მიმართ უცვლელია? ბატონო ვლადიმერ, ჩვენი თხოვნაა: თქვენთვის სასურველ ნებისმიერ დროს, რამდენიმე პირს გვიწვინდეთ თქვენთან შეხვედრა, რომ გაგაცნოთ ჩვენი აზრი წინა ხელისუფლების ჩადენილ უსამართლო ქმედებებზე და მათი დაძლევის გზებზე.



პატივისცემით,  
**ბრანი ძავთარიძე**,  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრის ყოფილი გამგე  
7 ოქტომბერი, 2013 წელი

პრემიერი-მინისტრი ბიძინა ივანიშვილის განცხადებიდან გამომდინარე, ა.წ. ნოემბერში ის დატოვებს პოსტს და საზოგადოებას შეურთდება. ვიდრე ეს მოხდება, იმავე საზოგადოების უდიდესი უმრავლესობა კვლავს აგლეჯს გაჯეტებზე პრემიერს – არ წასვლდე, არ წახვიდეო პრემიერი კი თავის მხრივ თავდაჯერებით აცხადებს – ჩემი წასვლა, მოსვლამდე დაგვეგე, თანაც გაგაფრთხილებ – პოლიტიკაში შემოსვლიდან 1-2 წელიწადში, წავალ-მეთქი.

ბიძინა მართალია. მან მართლაც თქვა მსგავსი, თუმცა, საზოგადოებამ არ დაიჯერა, იგიქრა – ალბათ ხუმრობდა. საზოგადოებას ჰქონდა ამის საბაბი, რამეთუ ივანიშვილის არც ერთ წინამორბედს არ ჰქონია ვადამდელი წასვლის სურვილი და არათუ ვადამდელი, არამედ ვადის ამონურვის შემდეგაც დაბეჯითებით ცდილობდნენ მმართველობის გახანგრძლივებას.

მართო სააკაშვილის მავალი რად ღირს. მან წინასწარ დაიჭირა თადარიგი: შექმნა საკონსტიტუციო კომისია, რომლის დაულაღავე შრომის შედეგად ისეთი კონსტიტუცია მიიღო, იმპერატორს რომ ეკადრებოდა – ქვეყნის ხანგრძლივი მართვის შესაძლებლობით. მან, არათუ კონსტიტუცია მოირგო, ახალი რეზიდენციის რეკონსტრუქციაც წამოიწყო, ათონელის 25-ში. სწორედ იქიდან აპირებდა პატივცემული მიხეილი ქვეყნის მართვას – პრემიერ-მინისტრის აპლუაში.

იმეამინდელმა ოპოზიციამ – დღევანდელმა ხელისუფლებამ, საგანგაშო ზარების შემოკერის ნაცვლად, სიტყვაც არ დაძრა მოსალოდნელი სახელმწიფო გადატრიალების საშიშროებაზე. თავის დახუჭა იმის იმედით, რომ კულუარულად გაურიგდებოდა ნაცებს საპარლამენტო სკამების მოსაპოვებლად.

როგორც ამბობენ, წასვლა არც შეეარდნაძეს სურდა და სწორედ ამიტომ მოხდა ე.წ. „ვარდების რევოლუცია“.

პირველმა პრეზიდენტმა – მისთვის და ქვეყნისთვის უმწვევეს მომენტში, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშნვისა და გადადგომის თაობაზე ოპოზიციონერთა მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაცვლად, დარჩენა ამჯობინა. თუ რით დამთავრდა ეს ამბავი, ყველამ კარგად იცის. მას შემდეგ ქვეყანა ნელ-ნელა ვერ გასწორდა.

**საღსალამათი პრემიერის ვადამდელი წასვლა, იმ დემოკრატიულ დასავლეთშიც მიუღებელია. და მიუღებელია არა იმიტომ, რომ ამ ნაბიჯის უკან ობიექტურ-სუბიექტური მოსაზრებებია, არამედ იმიტომ, რომ არჩეული ხელისუფალი ვადამდელი საარჩევნო დაბრუნებები შეასრულოს, ხელისუფლებაში ყოფნის ვადა ამონურის და თუ მაინცდამაინც წასვლა სურს, ახალ არჩევნებში აღარ მიიღოს მონაწილეობა.**

ივანიშვილის გადამწყვეტილება აშკარა მანიშნებელია იმისა, რომ საქართველომ არც დასავლური დემოკრატია და არც მსოფლიო ქვეყნების მმართველობის სისტემა არ იცის.

ივანიშვილი მიდის, როგორც თვით აცხადებს – გადადის ჩვენთვის უცნობ საზოგადოებრივ სექტორში, საიდანაც ყურადღებას არ მოაკლვებს მის მიერ დანიშნულ ხელისუფლებას. „ჭეშმარიტი დემოკრატია“ ამას ჰქვია. არ მოეწონება მის მიერ დატოვებული მოხელეების ნახელავი და ყურებს აუწევს. მაგრამ, როგორც ვინ?

მსგავსი სისტემა მაფიოზური კლანებისთვის არის დამახასიათებელი. მას სახელმწიფო მმართველობასთან არავითარი კავშირი არ აქვს. დემოკრატიული საზოგადოებისთვის შემცველეს შერჩევაც მიუღებელია, თუმცა, ჩვენისთვისთვის – მისაღები.

ივანიშვილმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვა საზოგადოებში. მართო სააკაშვილის დაშობა რად ღირს?! ამდენად, მას აქვს უფლება (თვითონ ასე თვლის), თვითონ შეარჩიოს შემცველი და თავს მოახვიოს ქვეყანას. ივანიშვილს უფლება აქვს საკუთარ ბანკ „ქართუში“, ბანკის მუშაკთა აზრის გაუთვალისწინებლად, დანიშნოს ხელმძღვანელი, მაგრამ ქვეყანა ხომ ბანკი არ არის?!

ეთონ წლის განმავლობაში საქართველო თვალს ადევნებს ქვეყნის მართვის ბიძინასულ ხელოვნებას, მაგრამ მან ბევრი ვერაფერი გაუგო ამ „სიბრძნეს“; ვერ გაუგო სიტყვის კაცის (ასეთად იცნობდნენ მას ხელისუფლებაში მოსვლამდე) მიერ მრავალი წინასაარჩევნო დაპირებებიდან განდგომას; ვერ გაუგო უსამართლობის გამოხატულებების ვერ გაუგო დამნაშავე წინა ხელისუფალთა მოუზომავ ქებას, მათი აღორძინებისთვის ხელის შეწყობას. საზოგადოებამ ვერაფრით გაიგო, რატომ უნდა ამბობდეს საპარლამენტო ხელმძღვანელი, გაუკეთებელ საქმეზე – გაკეთებულიაო.

საზოგადოებამ კარგად ისწავლა წინა, ილუზიონისტ ხელისუფალთაგან გაუკეთებლის, გაკეთებული მოჩვენების ამბავი. ისწავლა და ფიქრობდა, რომ ივანიშვილს ეს არ დასჭირდებოდა. მას ამის აუცილებლობა არ ჰქონდა.

საზოგადოებამ ბევრი ელოდა ივანიშვილისგან, შესაძლოა, უფრო მეტსაც, ვიდრე ივანიშვილს შეეძლო, თუმცა ვერაფრით წარმოადგინდა, რომ წინასაარჩევნოდ დახვედრული დაპირებებისგან, ცოტა რამ არ გაკეთდებოდა. და ამ ცოტაში ნამდვილად არ გულისხმობდნენ საქართველოს ეკონომიკურ გიგანტად გადაქცევას (ამას დრო სჭირდება) ან დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას.

**ამ ცოტაში არ შედის პენსიების თუნდაც ორას ლარამდე გაზრდა, გასადა და ელექტროენერჯაზე ტარიფების კარდინალური შემცირება, სამუშაო ადგილების ცვენა ან სოფლის უცვარი აღორძინება, ყველა ოჯახის ცხოვრების დონის უმაღლესობა და ა.შ. ამ ცოტაში იგულისხმებოდა ოდნავი ტენდენცია დანაპირების შესრულებისკენ.**

ამ ცოტაში იგულისხმებოდა დამნაშავე ხელისუფლების დასჯა; დამნაშავე პარტიის კანონგარეშედ გამოცხადება; სახელმწიფო დალატისთვის სააკაშვილისა და მისი თანამებრძოლების სამართალში მიცემა; ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა; ხალხის დასაქმებისთვის რაღაც ლონისიების გატარება და ა.შ. და არა ნაცთა ქება-ქება, მათი „წიქსიანის“ გუნდურუკის კმევა და ნატვრა იმისა, ისინი რომ მის ხელისუფლებაში ყოფილიყვნენ, საუკეთესონი იქნებოდნენ.

ამ ცოტაში შედის დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ, წინამორბედთა მსგავსად, მხოლოდ საკუთარი ცხოვრების მოწყობა, მათთვის ახალი პერსონალური ჯიბების შექმნა, მათ მიერ საკუთარი ნათესავ-მეგობრების დასაქმება, პრემიებისა და დიდი ხელფასების შენარჩუნება, სახელმწიფოს ხარჯზე საზღვარგარეთ სისტემატური ხეტიალი და იქ ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში ორგანიზმის გალაღება, თვითმფრინავის ბიზნესკლასით გადაადგილება, ქვეყნის შიგნით დაცვის თანხლებით გადაადგილება, თანაც ერთი ან ორი ჯიბით, ამომრჩევლის ფეხებზე დაკიდება, ზემოდან ქედმაღლური ყურება. რომელი ერთი ჩამოვთვალაო.

ივანიშვილმა ყურნალისტებთან შეხვედრის დროს სიამაყით ბრძანა – ხომ ნახეთ, როგორ გარდავექმნით პოლიციაო. პოლიცია არავის გარდაუქმნია, უბრალოდ მან, ქაბელეონივით ფერი შეიცვალა. დასჭირდება მინისტრის მისი წრეგადასული სისასტიკე, ის უმაღლესი უფლებების ბრძანებას, თანაც თავის მხრიდანაც ბევრს დაამატებს. ის, ისეთივე დაუნდობელი იქნება უიარაღო ხალხის მიმართ, როგორც ადგილი ჰქონდა 2007 წლის შემდგომით, ტელეკომპანია „იმედის“ დარბევის დროს ან 2011 წლის მაისის მომიტინგეთა მიმართ – ანგარიშსწორების ყაპს.

შეხვედრე პოლიციის მუშაკებს, მათ მოჭარბებულად თავდაჯერებულ, ფასადურ სახეებს და უმაღლეს დარწმუნებით, რომ ისინი ხალხის დამცველები კი არა, ხალხისგან, ხელისუფალთა დამცველებია. მათ სახეებზე ვერაფრით ამოიკითხავთ თანაგრძობას, ხელისუფალთა (ვინაიდან სწორედ ისინი არიან ხელისუფლების ხალხთან ურთიერთობის პირველი საფეხური) კეთილგანწყობას უდაუნაშაულო, ჩვეულებრივი მოქალაქეების მიმართ.

# პრინციანი საოცნებო მმართველობა



თანამდებობის პირთა ფუფუნებით ცხოვრებას შეესო ყურნალისტი ელისაშვილი ივანიშვილთან შეხვედრის დროს. შევისწავლიო, ბრძანა ბიძინამ. როდისლა? ან რა დიდი შესწავლა უნდოდა თუნდაც პერსონალური ავტომანქანების საკითხს ერთი წლის განმავლობაში?

პერსონალური ავტომანქანების მოჭარბებული რაოდენობა იყო საბჭოთა პერიოდის დროს, ვინაიდან ვერძო ავტომანქანების რიცხვი ნულს უტოლდებოდა. დღეს, სხვა ვითარებაა. ავტომანქანებმა ლამის ნალექოს ქვეყანა და ამ დროს მოხელეთა ავტობუსის ზომის შავი ჯიპები, უაღრესად ძვირადღირებული, ბევრი სანავაგის მშთანქავი. სახელმწიფო ფულის უყიარათო ხარჯვის აშკარა მაგალითთან გვაქვს საქმე, მაგრამ ამაზე არავინ ფიქრობს.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, გერმანიის ბუნდესტაგში სტატიურების დროს, დავაღვინე, რომ ბუნდესტაგში პერსონალური ავტომანქანა თავმჯდომარეს და პირველ მოადგილეს ემსახურებოდა, დანარჩენი მოადგილეები, ფრაქციებისა და კომიტეტების თავმჯდომარეები, სხვები ბუნდესტაგის ავტოგარაჟში არსებული ავტომანქანებით მხოლოდ მას შემდეგ სარგებლობდნენ, რაც წერილობითი განცხადებით მიმართავდნენ აპარატის უფროსს.

იმეამად დიდი აურზაური იყო ატეხილი ბუნდესტაგში, მის თავმჯდომარე, ქალბატონ ზიუსმუტთან დაკავშირებით. დილით, სახლიდან გამგზავრების დროს, თავმჯდომარეს მეუღლე დამგზავრებია. ავტომანქანა, სახელმწიფოთ თავმჯდომარეს გამოყენება და არა მის მეუღლესო, აცხადდნენ ბუნდესტაგის წევრებს. ამ თემაზე დებატები თვეობით გრძელდებოდა და რომ არა თავმჯდომარის ვადის მოახლოებული დასასრული, უდავოდ ვერ ასცდებოდა იმპიჩმენტს.

მკვრივ დამოკიდებულება საზღვარგარეთ მივლინების ხარჯების მიმართ. დაუსაბუთებლად ვერაჟინ ისარგებლებს სახელმწიფო ფულით. თუ რა ხდება ჩვენთან, ყველასთვის ცნობილია. სახელმწიფო მოხელეები, განსაკუთრებით საგარეო უწყებებიდან, სულ იმის ფიქრში არიან, სად გაემგზავრონ.

ხშირად მოგზაურობა არა ერთ, არამედ რამდენიმე ქვეყანას მოიცავს, შესაბამისი უზომო ხარჯებით. „ოკუპაციის“ თემად დიდი უბედურება დაატება ქვეყანას და მის მოსახლეობას, მაგრამ არა ყველას. არიან გამოაკლისები პარლამენტარების, საგარეო საქმეთა, ევროპასთან ინტეგრაციის, რეინტეგრაციის სამინისტროების მუშაკთა სახით. მათთვის „ოკუპაცია“ მოგზაურობის უკიდვარეულ შემადგენლობა გააჩნია. უკეთესს ვერ ინატრებდა კაცი.

სახელმწიფო ფულთან პასუხისმგებლური დამოკიდებულება არის

ყველგან, მაგრამ არა საქართველოში. სულ ახლახან ირლანდიის პარლამენტმა უარი თქვა ზემო პალატაზე, სენატზე – ბევრი ფული იხარჯებოდა. წლიურად 20 მილიონი დოლარი მას ბევრად მოეჩვენა, სამიჯლინებო ხარჯებიც – წლიურად 140 ათასი დოლარი.

ირლანდიის ცხოვრების დონე, სხვებთან, მათ შორის საქართველოსთან შედარებით, გაცილებით მაღალია. სახელმწიფოებრივი აზროვნების ხალხმა და ქვეყნებმა რაღაცას მაღალწიეს, მაგრამ არა საქართველომ. ჩვენში გამგდარი მენტალიტეტი, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს ყაირათიანი, ეკონომიური, ხელმომჭირნე გამოყენება არ სჭირდება, წესადაა ეკონომიური. რახან სახელმწიფო ფულია – მიღი და ხარჯე. ასეთი მიდგომა დამლუპველია ქვეყნისთვის. ნუთუ ძნელი იყო ერთი წლის განმავლობაში ამ მანკიერებასთან შებრძოლება?

**არანაკლებ წამგებიანია მსოფლიოს 67 ქვეყანაში საელჩოების, საკონსულტაციისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების არსებობა. დიპლომატიური წარმომადგენლობის გახსნას საფუძვლიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური დასკვნები ესაჭიროება, რაც ჩვეულებრივი რამ არის ნებისმიერ ქვეყანაში. საქართველოში – არა.**

დაუსაბუთებლად, სპონტანურად ხდებიდა დიპლომატიური წარმომადგენლობის გახსნა. დასჭირდებოდა სააკაშვილს და საელჩოც მზად იყო – ელჩით, დიპლომატიური და ტექნიკური პერსონალით. რა მოიგო ამით ქვეყანამ – არც არაფერი. წააგო კი – ფული, რომელიც გაცილებით უფრო საჭირო იყო სხვა დარგების განვითარებისთვის.

**საქართველოს უნდა ჰქონდეს დიპლომატიური წარმომადგენლობები, მაგრამ არა იმ ქვეყნებში, ვისთანაც არაფერი გვაკავშირებს. ასეთთა რიცხვი საკმაოდ ბევრია: სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ინდონეზია, მექსიკა, არგენტინა, ბრაზილია და სხვები. 50 მილიონ დოლარზე მეტი იხარჯება ამ საქმეში. მაგანი შემდეგაა – დიპლომატიური წარმომადგენლობებმა მონაწილე ინვესტიციებით. კეთილი, მაგრამ სად, რომელი ქვეყანაში? ამ ქვეყანას რომ ჭარბი ინვესტიციების სუნი არ ასდის?**

ინვესტიციები თუ შემოდის, მხოლოდ მეზობელი ან ახლომდებარე ქვეყნიდან. სხვები არ რისკავენ. კარგა ხნის წინათ (მაშინ იაპონიის საელჩო არ იყო გახსნილი საქართველოში) აზერბაიჯანში მყოფ იაპონიის ელჩს ვიკითხე (ის აზერბაიჯანიდან ფარავდა საქართველოს), რატომ არ ხსნიდა იაპონია თბილისში საელჩოს. ელჩმა მიპასუხა – ჩვენთვის ეს დიდი ფუფუნება იქნებოდა. და ეს იაპონიისთვის, იმეამინდელი მსოფლიოს მეორე ეკონომიკისთვის.

გადასახედია საქართველოს დიპლომატიაში არსებული პრაქტიკა, როდესაც ერთ ქვეყანაში ხანგრძლივი მივლინებით მყოფ ელჩს, ვადის ამონურვის შემდეგ (4 წელი), უმაღლეს ქვეყანაში ამწვევენ, შემდეგ კიდევ სხვაში – გააჩნია ნათესაური კავშირის ხარისხს. ასე და ამრიგად საქართველოში გაჩნდა ადამიანთა კასტა, რომელიც შენებულ ცხოვრებას საზღვარგარეთ ატარებს. მათ არ იცინა, რა ხდება სამშობლოში, მისი პრობლემები. თუ რამ იციან – ზედაპირულად. ნუთუ ძნელი იყო ამ პრობლემის მოგვარება?

ვერა და ვერ მოგვარდა „ბიზნისის“ ღირსშესაძღობის საკითხი. კვლავ მწვევი თემად რჩება სანავაგის გათავება, არადა, ნაცვლად დაპირებული დაწვევის, სულ მაღლა ადის. არ ჩანს ანტიიომოლოღური სამსახური. ვისაც როგორ უნდა, ისე ატყავებს ხალხს.

გატყავება ჰქვია, როდესაც ცნობილ სუპერმარკეტებში კოვზნა-ხევიარი შემწვარი კარტოფილი ერთი ლარი და სამოცი თეთრი (საშუალოდ) ღირს. არაფერს ვამბობ ხორციზე. რატომ უნდა ღირდეს კილოგრამი ცხვრის ხორცი 18 ლარი? ან კურდღლის ხორცი – 20 და მეტი ლარი? რატომ უნდა ღირდეს ნამლები ისე ძვირი, რომ მოქალაქე ნერწყვითმდგარმა ჩაუაროს აფთიაქს? რატომ უნდა მუშაობდეს საქალაქო ტრანსპორტი გაუმართავად და რატომ უნდა ინგრეოდეს დაგებული ასფალტი მეორე დღეს? რატომ უნდა ვაჭრობდნენ „დუბერტირების“ ბაზრის ეზოში და არა თვით ბაზარში?

ბაზრის ცარიელია, ეზოში კი ტყეა არ არის. ბაზარში ვაჭრობაზე დიდი გადასახადია დაწესებული? კეთილი! მაგრამ სად არის ხელისუფლება? საქართველოში ერთადერთი დიდი ქალაქი, თბილისია, ნუთუ ძნელი იყო ხელისუფლების მხრიდან, ერთი წლის განმავლობაში, მერიისთვის შესწავლა, რომ მიწისქვეშა გადასახველები ანტიანტიარისისა და შარდის გაუმართავი საპარკინებელი არ არის? რომ ნავგის გატანა, დასუფთავება არ არის?

**ხელისუფლების უბრველესი ამოცანა უნდა ყოფილიყო რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება. სამშუხაროდ, ღვიწმინდის ეპისკოპოს ვერ გავცდით. რუსეთმა გვიყვარა და ათავალა, რომ არც ახალი ხელისუფლებიდან გამოვა რამე და დაიწყო გამგეობის საზღვრის გაგდება. ყურნალისტებთან შეხვედრის დროს საზღვრის თემამ მკაცრად გააფიქრა. არც ივანიშვილმა დათმო – წინა ხელისუფლების დანაშაულის მე ნუ მკიდებთო.**

ივანიშვილი მართალია. სხვათა შორის საქართველოს ყურნალისტიკა, თითო-ოროლას გამოკლებით, 2008 წლის სააკაშვილის აგრესიაში მხოლოდ რუსეთს ადანაშაულებდა. სამშუხაროდ, დღესაც იგივეა. ერთი რამ, რაშიც ივანიშვილის ხელისუფლების აუღად მოხსენიება შეიძლება, ის არის, რომ მოსკოვთან პოლიტიკური ურთიერთობა არ შემდგარა, არადა, აუცილებელი იყო. მსგავსს შემთხვევაში საზღვარი არ გადაიწვედა.

ნუთუ ძნელია იმის დადგენა, რომ წამდაუნუმ, ჩვენი ევროპელი და ამერიკელი პარტნიორებისა და მეგობრების? ძახილი, რუსეთის თვალში ქულეებს გვაკარგვინებს? ნუთუ ძნელია იმის გაგება, რომ ნატოში შესვლაზე გამუდმებული ყვირილით, უპირველესად ჩვენი საქმე ზიანდება?

ორი წლის წინათ, პოლიტიკაში შემოსულმა ივანიშვილმა გალანდა მასმედია და ექსპერტობა. მაშინ ბევრმა გული მოიფხანა – მართალიაო, ამბობდნენ. ორი წლის შემდეგ, პოლიტიკიდან წასვლისას ივანიშვილმა, უკვე პირადი შეხვედრების დროს არ დაინდო ექსპერტები და ყურნალისტები, თუმცა, ამჯერად აქუბარდის და ზოგიერთი „ექსპერტის“ გარდა, ივანიშვილი არავის დაუცვია, პირიქით გალანდა ის. ზოგმა ისიც თქვა, ასეთი რაც მალე წავა, უკეთესიაო.

**ადამიანის შეცვლა, რომელსაც თავი მუდამ მართლად მიაჩნია, ძნელია. ძალაუფლების მქონე ასეთი ადამიანი არტუთ იოლი ასატანია, და თუ წასვლა უნდა, უმჯობესია წავიდეს.**

**კამილტ ჭიკაბავილი, პოლიტოლოგი.**



გაყიდული სანიკა

# დეკუტატი, როგორც პარლამენტში „ილო“, იმის გარეთ ქვეყანას ატრიალებდა

საზღვარგარეთში ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელიც მე-7 მონვევის პარლამენტის (წინა), წევრს „ნაციონალურების“ წარმომადგენელს თემურ კობოძეს იცნობდეს. არადა, იგი იურიდიული, აგრეთვე დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკის კომიტეტის წევრია. მისი მიკროფონთან მისვლის აღმსუსხველის მოძებნაც გაჭირდება, არა თუ დეპუტატებში, ცხარე საქმიან კამათში გამოსვლებისა. ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, რომ კობოძემ გამსვლელ სიაში ადგილის მოპოვება წინასაარჩევნოდ „ნაციონალურების“ სერიოზული თანხების ჩადებით შეძლო. მოკლედ დეკუტატის საპარლამენტო ცხოვრება სხდომებზე დასწრებითა და მისი მამა-მარჩენალებისათვის მისაღები გადაწყვეტილებების დროს დილაკზე „მოხრე“, „მონინალმდგის“ დაჭერით შემოსაზღვრებოდა. საქმე ამას იქით აღარ მიდიოდა.

სამაგიეროდ, თუ კობოძე პარლამენტში მხოლოდ „ილო“, აქტიური იყო საკანონმდებლო ორგანოს გარეთ, როგორც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში აცხადებენ, საირმეში არსებობდა შპს „კურორტი საირმე“, რომლის 100-პროცენტული მფლობელი სახელმწიფო იყო. მას კურორტის კეთილმოწყობასა და განვითარებაზე ზრუნვა ევალებოდა. 2011 წელს აღნიშნული შპს 18 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულებით გადაეცა შპს „საირმის განვითარების კომპანია“, რომლის 100-პროცენტული მფლობელი მესაკუთრე ზემოთ დასახელებული პარლამენტარია. მაგრამ გასხვისებაზე შპს „კურორტი საირმე“ მეტად ეკლიანი გზა განვლო. ამ კომპანიამ 2010 წლის 13-დან 23 დეკემბრამდე „უძრავი ქონების (მინის ნაკვეთების) ჩუქების ოცი და მიტოვების ორი ფაქტი აღწუსა. ჩუქება ხდებოდა „ნებაყოფლობით“. ამგვარად სახელმწიფომ



კერძო მესაკუთრეებისაგან „საჩუქრად“ მიიღო 25,137 კვ. მ. მინის ნაკვეთები, ყველა ისინი „კურორტი საირმის“ საკუთრებაში დაარეგისტრირეს. არასამთავრობოების განმარტებით, ჩუქებისა თუ მიტოვების შემთხვევები (არა მარტო საირმეში) დეტალურად უნდა შეისწავლოს. რადგანაც ქონების თავდაპირველად დარეგისტრირებისთვის პიროვნებებმა უამრავი პროცედურა გაიარეს. საკუთრების უფლების აღიარების კომისია, დოკუმენტაციის შეგროვება — მფლობელობაზე, აზოციაციის ნახაზები, მონეტა ნოტარიუსით და მოწმებული ჩვენებები, შემდეგ კვლავ რეესტრი და ქონების დაკანონება. ყოველი პუნქტის შესრულება დიდ შრომასა და თანხებითანაა დაკავშირებული, ამის გამო ბუნებრივია ჩნდება ეჭვი, რომ

ამდენი ჯაფის შემდეგ პიროვნებები უცებ, ერთი ხელის მოსმით აცხადებენ უარს ქონებაზე და სახელმწიფოს ჩუქნიან ან საერთოდ ტოვებენ მას. შრომასა და ფინანსურ დანახარჯებს კიდევ უფრო ზრდის ის ფაქტი, რომ მინის „ნაჩუქარ“ ნაკვეთზე სახლი ან შენობა (საირმეში ნაჩუქარ-მიტოვებული მინის ნაკვეთთა მფლობელთა აბსოლუტური უმრავლესობა სხვადასხვა სფეროში დასაქმებული მენარმეა). როგორც ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში დავით ლაშხია გვიმტკიცებს, სახლის მშენებლობის დაწყებისათვის არქიტექტურის სამსახურიდან ნებართვის აღება 3500 ლარი ჯდება. სინათლის, წყლის, გაზის კანტორებიდან კიდევ 3 ათასი. ცალკე თემია მშენებლობისთვის განეული თანხები. თანაც გა-

სათვლისწინებელია, რომ გამჩუქებელთა უმეტესობას მის გარდა სხვა უძრავი ქონება არც საირმესა და არც ქვეყნის სხვა მხარეში არა აქვს. არასამთავრობოების განმარტებით, ჩუქების სქემა საირმეში იგივე იყო, რაც ქვეყნის სხვა მხარეებში. მინისა და ქონების მესაკუთრეებს იზარებდნენ პროკურატურაში და ეკონომიკის სამინისტროს სპეციალური წარმომადგენლის მოთხოვნით აფორმებინებდნენ ხელშეკრულებებს მინის ნაკვეთის სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმობის თაობაზე. საირმელთაგან მხოლოდ რამდენიმე თუ გაბედა ჩივილი. მაგრამ მომჩივნებს თვალწინ უფრიალებდნენ თავიანთ მიერვე ხელმოწერილ დოკუმენტებს უსასყიდლოდ დათმობის თაობაზე. როდესაც საჩივრების ბუმი ჩაცხრა და შპს „კურორტი საირმე“ შპს „საირმის განვითარების კომპანია“ საკუთრება გახდა, კობოძემ ხელი მიჰყო „ნაჩუქარი“ ქონების დანაწევრებასა და მალაჩრინოსნებზე გაყიდვას. ვის არ ნახავთ მსყიდველთა ნუსხაში — ადგილობრივ, სამხარეო თუ თბილისელ მალაჩრინოსნებს. იურისტები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ, როგორც საირმეში, ასევე სხვაგანაც ჩუქება-მიტოვების შემთხვევები კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალსა და დროშია ერთად თავმოყრილი. სპეციალისტები იმასაც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამგვარი გეოგრაფიული არეალები ეკონომიკური განვითარების ახალ პრიორიტეტულ მხარეებს ემთხვევა. საირმელები პროკურატურისაგან ჩამორთმეული ქონების დაბრუნებაში დახმარებას ითხოვენ. თავიანთი მხარის პარლამენტარს კი იმის გამო უჩივიან, რომ მან იცოდა, როგორი „ნაჩუქარი“ იყო ყოველივე და მაინც გაასხვისა.

ზაზა ბილინიძე

საწვავი

# ხელისუფლება აიწვავს თუ გაზარდს?

ბიძინა ივანიშვილმა პირობა დადო, რომ ბენზინი უახლოეს მომავალში გაიფხვრება. როგორც ჩანს, თუ არა ხელისუფლების ჩარევა, მენავთობები საერთაშორისო ბაზარზე ორინტირებული ფასის დანესებას არც აპირებენ. სწორედ ასეთი სცენარი გათამაშდა რამდენიმე დღის წინათ, როცა იმპორტიორებმა სანვავი მოლუოდრეად გააძვირეს და შემდეგ ასევე მოლუოდრეად — გააიფხვეს. პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, აზერბაიჯანში ამჟამად ქართული დელეგაცია იმყოფება, რომელიც მოლაპარაკებებს მართავს, რათა საქართველომ ტრანზიტული ფუნქცია არ დაკარგოს და კიდევ უფრო განიმტკიცოს. „ბენზინი, მე მგონი, უახლოეს მომავალში გაიფხვრება, შეიძლება ამ ვიზიტის შემდეგაც, მაგრამ არ მინდა მოვლენებს დავასწრო. ფასები ვერ განახევრდება, ეს არასდროს მითქვამს, მაგრამ დაკლების ტენდენცია იქნება“, — აღნიშნა ივანიშვილმა. მისი თქმით, ტრანზიტების ფული კეთდებოდა და ჯიბეებში გადადიოდა და ამაზე პროკურატურა მუშაობს, დღეს კი ის, რაც ჯიბეებში გადადიოდა, ახლა სახელმწიფოს ხმარდება. „ადვილი და მისი ჯგუფი ასორციელებდა მონიტორინგს მთელ ბიზნესზე, ბაზრობაზე მდგომი ქალბატონებიც კი

ჰყავდათ აღრიცხვაზე და ნებისმიერ გადარიცხვას თვალყურს ადევნებდნენ. რაც შეეხება ფარმაცევტულ ბაზარს, ამასთან დაკავშირებით გამზადებული პროექტი არსებობს, რომელიც სიტუაციის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად“, — დასძინა ივანიშვილმა. სანამ „ქართული ოცნება“ სანვავის ბაზარზე არსებული მდგომარეობის საბოლოოდ მოწესრიგებას შეძლებს, მანამდე იქ უცნაური მოვლენები ვითარდება. იმის მიუხედავად, რომ საერთაშორისო ბირჟებზე ნავთობპროდუქტების ფასი შესაშურად მყარია, ქართველმა იმპორტიორებმა ექსპორტიონტის ჩატარება გადაწყ-

ვიტეს. წინა კვირას მათ საცალო ქსელში ფასი მოულოდნელად 5-7 თეთრით გაზარდეს, შემდეგ კი უცებ ისევ შეამცირეს. რას ემსახურებოდა ეს „მანევრი“, გაურკვეველია. არც გაძვირების და არც გაიფხვის წინაპირობა არ არსებობდა. დაახლოებით 8-9 დღის წინათ ბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურებზე ბენზინი გაძვირდა, თანაც ნავთობიმპორტიორები დარწმუნებით აცხადებდნენ, რომ გაიფხვის მოლოდინი, თუ საერთაშორისო ბაზარი არ მისცემდა ამის შესაძლებლობას, არ უნდა ჰქონოდათ. საერთაშორისო ბაზარზე ვითარება არ შეცვლილა, თუმცა, მენავთობებმა ძალიან სწრაფად სანვავზე ფასის შემცირება მაინც გადაწყვიტეს. სავარაუდოდ, წინასაარჩევნოდ გაზრდილი ფასი მთავრობას არაფრად ეჭაშნიკა და კორექტირება უფრო პოლიტიკური ჩარევის შედეგად მოხდა. ეკონომიკის სფეროს ექსპერტი ზვიად კანდელაკი ფიქრობს, რომ ნავთობიმპორტიორებს ფასის ზრდა ხელისუფლებამ არ მოუწონა.

რომ ერთ კვირაში იმპორტიორებს ფასები აენიათ და მერე დაეგდოთ აქამდე ასეთი შემთხვევა არ ყოფილა. სულ იმას გაიძახიან, რომ საერთაშორისო ბაზარზე შესყიდვები ხდება 20-25 დღეში ერთხელ და ამ პერიოდის გასვლამდე საფასო ცვლილებებს ვერ ასორციელებენ. ახლა ფასი უმოკლეს დროშივე დანის. მას შემდეგ, რაც მედიაში დაიწერა მათი არაადეკვატური გადაწყვეტილებების შესახებ, სავარაუდოა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მიიღეს შენიშვნა. ფაქტია, წინასაარჩევნო პერიოდში არ უნდა ხდებოდეს ასეთი რამ, მით უფრო, რომ ბაზარზე არსებული სიტუაციის მიხედვით, გაძვირების აუცილებლობა არ არსებობდა. ფასი ბოლო 1 თვის განმავლობაში სტაბილურია და სანვავის გაძვირების, ან თუნდაც გაიფხვის აუცილებლობა არ არის“, — აცხადებს კანდელაკი. თუმცა, როგორც გამოჩნდა, ცოტა სხვაგვარად ფიქრობს ქვეყნის პრემიერი და სანვავის გაიფხვის მორიგ პირობასაც იძლევა. აქედან გამომდინარე, ადგილობრივ ბაზარზე არჩევნებამდე გარკვეულ ცვლილებას ისევ უნდა ველოდით.

გიორგი ბაქაური

**ალიან-ჩალიანი**

**კომუნალური გადასახადების ვაუჩერების დარიცხვა ნოემბრიდან განახლება**

თბილისის მცხოვრებლებისთვის კომუნალური გადასახადების ვაუჩერების დარიცხვა ნოემბრიდან განახლება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ დედაქალაქის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა მამუკა ქაცარავამ განუცხადა, თბილისელებს ნოემბრისა და დეკემბერში ელექტროენერჯის, წყლისა და დასუფთავების გადასახადის დასაფარად 20-20 ლარი დაერიცხება.

ენერგომატარებლების ვაუჩერებისთვის წლებიდან ბიუჯეტში თითოეულ აბონენტზე გამოყოფილი იყო ასი ლარი. ჩვენ ეს თანხა ლოკალურად გადაგზავნილთ სუთ თვეზე, როდესაც ელექტროენერჯის მომხარება განსაკუთრებით მაღალია. იანვარში, თებერვალსა და მარტში ყველა აბონენტს დაერიცხა 20 ლარი. დამატებით ნოემბრისა და დეკემბერში ყველა აბონენტს, მათი რიცხვი 400 000-მდეა, დაერიცხება 20-20 ლარი. ეს თანხა ნოემბერში აღნიშნული იქნება მათ ქვეთრებზე. ეს 20 ლარი ნაწილდება კომუნალური მომხარების სამ კომპონენტზე — ელექტროენერჯისა და დასუფთავებაზე — 8.15 ლარი, სოლო წყალზე 3.15 ლარი — განაცხადა ქაცარავამ.

მისივე თქმით, კომუნალური გადასახადების ვაუჩერთან ერთად სოციალურად დაუცველი ოჯახებს პირად ანგარიშებზე 50 ლარი დაერიცხება.

გარდა ამ ასი ლარისა, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, ვისაც 70 000-ზე დაბალი სარეიტინგო ქულა მქონდა, გათვალისწინებული იყო 150 ლარი. მათ ეს თანხა უკვე ჩაერიცხათ აბონენტსა და აგვისტოში, მესამე 50 ლარი კი დეკემბერში ჩაერიცხება პირად ანგარიშზე. ასეთი 40 000 ზე მეტი ოჯახია, — განაცხადა მამუკა ქაცარავამ.

სოფლის მეურნეობა

პარლამენტის ოქტომბერს გამართულ სხდომაზე დეპუტატმა გოგი თოფაძემ, ნაც-მოდრაობის ხელისუფლების, რბილად რომ ვთქვათ, უპასუხისმგებლო ქმედებების თაობაზე ლაპარაკისას, სხვათა და სხვათა შორის, სოფლის მეურნეობის ფაქტობრივი განაგებაც ასწენა და აღნიშნა, რომ პასუხისმგებელ პირებს, კერძოდ, კახა ბენდუქიძეს, ამასთან დაკავშირებით მრავალ კითხვაზე პასუხის გაცემა მოუწევს.

დეპუტატის აღწვოთების სამართლიანობას სოფლად არსებული ვითარება, ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხისა და წარმომავლობის ანალიზი, ასევე სტატისტიკური მონაცემებიც მონშობს. ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტი დაახლოებით 6,5-ჯერ გაიზარდა, ხოლო მანამდე ისედაც საკმაოდ მცირე მოცულობის ექსპორტი თითქმის 3-ჯერ შემცირდა. 2003 წელს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წილი დაახლოებით მეხუთედს შეადგენდა, შარშან კი მან 9 პროცენტამდე იკლო, ანუ ცხრა წელიწადში იმის ნახევარსაც ვეღარ ვაწარმოებთ, რაც მოსახლეობას საარსებოდ სჭირდება!

იმავე 2003 წელს დარგში ექსპორტი-იმპორტი, შესაბამისად, 162,6 და 179,5 მილიონი, ხოლო განსხვავება დაახლოებით 17 მილიონი დოლარის ტოლი იყო. 2012 წელს ექსპორტი 443 მილიონ დოლარამდე ავიდა, თუმცა კი იმპორტმა 1,1 მილიარდი დოლარი შეადგინა, ანუ სოფლის მეურნეობის სფეროში უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 668 მილიონ დოლარს მიაღწია, რაც ხალხის საკუთარ მინაზე მოყვანილი პროდუქტით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მინათომოქმედია სახელის ცნობილი ქვეყნისთვის კატასტროფის ტოლფასია. ეს, რომ იტყვიან, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს – ბაზარზე ადგილობრივი



სანატრულად რომ არ დაბრუნდეს „პატარძლის დაკრეფილი...“

სურსათის ოდენობა უცხოურს, მათ შორის უმეტეს შემთხვევაში გაცილებით უარესი ხარისხისა და გემოს მქონე ბოსტნეულს, ბაღჩეულს, ხილს, მარცვლეულს, საქონლისა და ფრინველის ხორცს, სხვას, უცხოურს დაახლოებით 4-5-ჯერ მაინც ჩამოუვარდება. თანაც ეს მას შემდეგ ხდება, რაც საქართველო წლების მანძილზე ბოსტნეულისა და, მით უმეტეს, ხილის ექსპორტიორი იყო, ამჟამად კი ქვეყნის შიდა ბაზარზე მოსახლეობა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებითაც კი ამ სახეობის პროდუქციას გაცილებით ნაკლებს მოიხმარს.

რა ხანია საქართველოში, ფაქტობრივად, აღარ იწარმოება ჩაი, ხილი კი – შიდა ბაზარზე დაბალი ფასის და გადამამუშავებული ინფრასტრუქტურის ერთიანად მოსპობის პირობებში – მათ შორის

ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ჭერამი, სხვა, ხშირად შეგნებულად მოუკრეფავიც კი რჩება, რის უამრავი მაგალითი იყო ბოლო წლებში. ამას, ერთი მხრივ, საკონსერვო და წვენების მრეწველობის არარსებობა, მეორე მხრივ კი მოსახლეობის დაბალი მსყიდველუნარიანობა განაპირობებს, რომლის მხოლოდ 20 პროცენტი თუ ცხოვრობს ნორმალურ ან მასთან მიახლოებულ ეკონომიკურ პირობებში. ამას ემატება ადგილობრივი პროდუქციის შედარებით მაღალი თვითღირებულება, რასაც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს გახარჯული სანავის, აგრეთვე, ტრანსპორტირების სიძვირცემობა, რაც, ბუნებრივია, საქონელს არაკონკურენტუნარიანს ხდის. გარდა აღნიშნულისა, ნაკლებს ვაწარმოებთ კვერცხს, ხორცს, მარცვლეულს, რისი

მიზეზი ისევ და ისევ სოფლის მეურნეობის საწარმოებლად ფინანსური სახსრების სიძვირეა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით – არა გვაქვს შესაბამისი აგროტექნიკა, სასუქი, მავნებლებთან ბრძოლის საშუალებები და სხვ. ამას კუდში მოყვება შრომის დაბალი ნაყოფიერება, მცირემოსავლიანობა, პროდუქციის უხარისხობა, რაც, საბოლოო ანგარიშით საქონლის დაბალი კონკურენტუნარიანობის მხრივაც იჩენს თავს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამამულო სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად ადგილობრივი გლეხობისთვის უშუალოდ ხელშეწყობის გარდა, შიდა ბაზრის საკანონმდებლო დონეზეც დაცვაა აუცილებელი. საამისოდ კი, ექსპერტთა აზრით, არაერთი ქვეყნის მსგავსად, შესაძლებელია იმპორტული საქონლისთვის გარკვეული კვოტების დანერგვა, რაც ადგილობრივ მწარმოებელს უცხოური პროდუქციის ექსპანსიისგან დაიცავს.

სასოფლო-სამეურნეო სექტორის ფეხზე წამოყენებას ეკონომიური, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მომხმარებლისთვის მიწოდებისა და სხვა სასიკეთო გარემოებათა გარდა, დემოგრაფიული თვალსაზრისითაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში მოსახლეობის 60-65 პროცენტი სოფლად ცხოვრობს და მათი წილი ბოლო წლების მანძილზე დიდად მომრავლებულ კანონიერ თუ უკანონო მიგრანტებთან ერთად უსაშველოდ გაზრდილია. ამდენად, სოფლად მოსახლეობის დასაქმება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, რაც მოსახლეობის ყოფაზეც დადებითად უნდა აისახოს, ცხადია, ქვეყანაში ხალხის დამკვიდრების თვალსაზრისითაც, უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ოთარ ტურაბელიძე

ყოფა

ოქტომბრის თბილი, მზიანი დღეა. გზას თევდორე მღვდლის ქუჩისკენ მივუყვები. სანამ რკინიგზის ყოფილ საავადმყოფოს შენობამდე მიხვალ, ვინრო, მოუწყობელი, ზიგზაგი ჩიხები უნდა გაიარო. ერთმანეთს მიჯრილია უსასური ჯიხურები, ზოგან პირდაპირ მინაზე გაუშლიათ გასაყიდად გამოტანილი საქონელი. იქვე, ბორდიურებზე ქაღალატონები ჩამომსხდარან, მხრებზე ხელჩანთები გადაუკიდიათ, თითქოს რაღაცას ან ვიღაცას ელოდებიან. უნებურად ითრგუნები, რადგან ქვეყანა, სადაც ცხოვრობ, სიღატაკის და სიბინძურის ჭაობშია ჩაფლული. მაგრამ არჩევანი არ გვაქვს, ეს ჩვენი სამშობლოა.

